

დეგების შენარჩუნება და ქვეყნების მდგრადი განვითარება. უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მასშტაბით განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები ნათელი დასტურია იმისა, რომ საზოგადოების თითოეული წევრისათვის სრულყოფილი განათლების მისაღებად და საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოსავლენად გარემოს შექმნა არის როგორც ცალკეული პიროვნების ნარმატების, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელი აუცილებელი პირობა [დავთაძე, იფშირაძე 2015:525]. ამასთან, საქართველოს კონკურენტიანობა გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მის მიერ მაღალკვალიფიცირებული ადამიანური რესურსების მომზადების უნარზე, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხარისხის განათლების უზრუნველყოფის გზით.

აღნიშნული თვალთახედვით, საქართველოში არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან 2013 წლის მონაცემებით, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის დაახლოებით მხოლოდ 25% იყო ჩართული უმაღლეს განათლებაში [EPPM, 2013:10]. ამასთან, შინამეურნეობების მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩართულობის მაჩვენებლის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი. დაფინანსებადი პროგრამების შემოღებამ ეს პრობლემა ერთგვარად შეარბილა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა. როგორც კვლევები ადასტურებს, მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, ჩართულობის ინდიკატორი მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის ეკონომიკურ პირობებთან, რეგიონთან, საცხოვრებელ ადგილსა და ეთნიკურ თუ რელიგიურ კუთვნილებასთან.

განათლების სისტემის სრულყოფას გააჩნია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული და ა.შ. დატვირთვა და შედევი, რაც განაპირობებს მისი ფუნქციური აღჭურვის მრავალფეროვნებას თანამედროვე ეტაპზე. სისტემის ნარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების პროცესის უწყვეტობასა და სისტემაში შემავალი ინსტიტუციებს შორის მჭიდრო კავშირების არსებობაზე. თუმცა, გადამწყვეტი როლი მაინც უნივერსიტეტსა და უმაღლეს განალებას ენიჭება.

უნივერსიტეტების მიერ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციური, სოციალური თუ სხვა ფუნქციების სრულფასოვანი შესრუ-

ლება ბევრად არის დამოკიდებული მის ფინანსურ სტაბილურობაზე. სწორედ ამიტომ, როგორც თვით უნივერსიტეტები, ისე ხელისუფლება, განუხრელად უნდა ზრუნავდნენ, ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების შემოსალვების დივერსიფიცირებაზე, მდგრადისაბუთ და მეორე მხრივ, ბიუჯეტის ხარჯების ოპტიმალურ განაწილებაზე. გვესმის, რომ ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემთა სრული მოცვა. ამიტომ, ამჯერად ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ.

ზოგადად, თანამედროვე უნივერსიტეტების ბიჯეტებისათვის დამახასიათებელია შემოსავლის შემდეგი წყაროები:

- შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან:** იგულისხმება სწავლის ქირა, მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროდან ხდება მისი შემოსვლა. საქართველოს შემთხვევაში, აქვე უნდა ჩავთვალოთ სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება;

- პირდაპირი მიზნობრივი დაფინანსება ბიუჯეტიდან:** მსგავსი თანხები, როგორც წესი, ხმარდება პროფესურის ხელფასს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას და ა.შ.

- შემოსავლები სხვადასხვა საქმიანობიდან:** ეს შეიძლება იყოს ქონების იჯარა, ძირითადი საქმიანობის კომერციალიზაცია, ფასიანი მომსახურების განვითარება და ა.შ.

- გრანტები:** ეროვნული და საერთაშორისო;
- შემოწირულობები:** სხვადასხვა დონორებიდან, საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, კურსდამთავრებულებიდან უსასყიდლოდ მიღებული თანხები და ა.შ.

- ინტელექტუალური საკუთრება, პატენტები, ნოუ-ჰოუ და ა.შ.**

საქართველოში არსებული მდგომარეობიდან ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენს პირობებში უნივერსიტეტების შემოსავლის წყაროები, ხშირ შემთხვევაში, ასე მრავალფეროვანი არ არის. აღნიშნული შეიძლება განვიხილოთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ანსუ) მაგალითზე, რომელიც თავისი მასშტაბებით საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მრავალფეროვანი უმაღლესი სასწავლებელია. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1. აწსუ შემოსავლები 2010-2015 წწ. (ათ. ლარი)

	შემოსავლის წყარო	შემოსავლის მოცულობა და ხვ. წილი					
		2010	2011	2012	2013	2014	2015
1	სწავლის ქირა. მ.შ:	8525	10867	12305	14293	14966	16795
	სტუდენტებიდან	7282,1	9441,0	10689,1	11707,2	10468,5	10389,7
	სახელმწიფო გრანტები	1242,5	1425,7	1616,2	1712,2	1614,0	1714,0
	დაფინანსებადი პროგრამები	0	0	0	873,7	2883,8	4691,8
2	პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება	811,0	350,0	233,4	189,4	9,8	0,0
3	შემოსავლები სხვადასხვა საქმიანობიდან	253,0	246,7	279,5	312,6	420,8	450,0
4	გრანტები	392,0	536,4	445,1	586,9	571,2	482,5
5	შემოწირულობები	0	0	0	0	0	0
6	ინტელექტუალური საკუთრება, პატენტები, ნოუ-ჰოუ და ა.შ.	0	0	0	0	0	0
სულ		9980,5	11999,7	13263,3	15382,0	15968,0	17728,0

წყარო: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ხელმისაწვდომია:
<http://www.atsu.edu.ge/article.php?c=1&a=5>

ცხრილიდან ჩანს, რომ წლების მიხედვით იცვლება, როგორც შემოსავლის მთლიანი მოცულობა, ისე შემოსავლის ცალკეული წყაროს ხვედრითი წილები. აღნიშნულს თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. კერძოდ:

- სწავლის ქირიდან შემოსავლების მატება მნიშვნელოვანნილად განპირობებულია სტუდენტთა რაოდენობის თანმიმდევრული ზრდით.
- გარდა ამისა, 2013-2014 სასწავლო წლიდან ამოქმედდა დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ პროიორიტეტულად მიჩნეული საგანამანათლებლო პროგრამების დაფინანსებას.
- ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მოცულობების მაღალი ამპლიტუდა გამონვეული იყო აწსუ-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ხშირი ცვლილებით, რაც იწვევდა განსხვავებებს უნივერსიტეტის მიერ მის განკარგულებაში არსებული ქონების კომერციალიზაციის უფლებაში;
- აწსუ-ს ყოველთვის კარგი მაჩვენებელი ჰქონდა საერთაშორისო თუ ეროვნული უკეთესობის უსასყიდლოდ გადაცემას, პრაქტიკისა და სტაურების ორგანიზებას უსასყიდლოდ და ა.შ.

დონორებიდან გრანტების მოპოვების კუთხით, რაც მნიშვნელოვნად გვიწყობს ხელს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ლაბორატორიული ტექნიკის შეძენაში, კადრების მომზადება-გადამზადებაში, საგანამათლებლო პროგრამების შექმნა-განვითარებაში და ა.შ.

- უნივერსიტეტს არასდროს ჰქონია მნიშვნელოვანი შემოსავლები შემოწირულობებიდან. აღნიშნულის უმთავრესი მიზეზია რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში, განსაკუთრებით იმერეთის მხარესა და მის მუნიციპალიტეტებში. თუმცა, ყოველწლიურად აქვს ადგილი არაერთ კერძო ინიციატივას, რაც გამოიხატება სახელობითი სტიპენდიების დანიშნვაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა თუ მუზეუმისათვის წიგნადი ფონდისა თუ ექსპონატების უსასყიდლოდ გადაცემას, პრაქტიკისა და სტაურების ორგანიზებას უსასყიდლოდ და ა.შ.
- დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. ვითარება სწრაფად იცვლება უკეთესო-

ბისაკენ და მისი ნორმალიზების კვალობაზე, უფიქრობთ, უნივერსიტეტის შემოსავლები ამ მხრივადაც გაიზრდება.

საქართველოში უნივერსიტეტების დაფინანსების კუთხით, დღესათვის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია შემდეგი საკითხები:

1. რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსების არსებული მოდელი;
2. რამდენად არის შესაძლებელი, რომ სახელმწიფო გადავიდეს უნივერსიტეტების პირდაპირ დაფინანსებაზე.

იმთავითვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური ვითარების გათვალისწინებით დაფინანსებაზე.

ცხრილი 2

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ■ საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებამ გაზარდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის; ■ სახელმწიფო ხელს უწყობს პრიორიტეტული დარგების უზრუნველყოფას დეფიციტური კადრებით, რაც უნდა აბალანსებდეს შრომის ბაზარს; ■ უნივერსიტეტებს უფლება აქვთ, დაფინანსებადი პროგრამებით მიღებული ფინანსური რესურსების ნაწილი მიმართონ მათთვის პრიორიტეტული პროგრამების განვითარებაზეც; ■ გაუმჯობესდა უნივერსიტეტების ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი, რადგან სახელმწიფოსგან გარანტირებულად ღებულობენ ფინანსურ რესურსებს, იმ პირობებში როდესაც, სტუდენტებს სწავლის ქირის გადახდა უჭირთ; 	<ul style="list-style-type: none"> ■ ხშირ შემთხვევაში, დაფინანსებად პროგრამებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრება არ არის მაღალი, რის გამოც სახელმწიფო ვერ ღებულობს მის მიერ განეული ხარჯების ადეკვატურ აკადემიური შედეგს; ■ დაფინანსებადი პროგრამების გაჩენამ მნიშვნელოვნად დააზარალა არადაფინანსებადი პროგრამები, რადგან მათზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა; ■ შემცირდა კონკურენცია როგორც უნივერსიტეტებს, ისე აკადემიურ პროგრამებს შორის, რადგან აბიტურიენტები ყურადღებას აქცევენ არა პროგრამის ხარისხსა და მოსალოდნელ შედეგებს, არამედ დაფინანსების არსებობას; ■ უნივერსიტეტებმა მეტი ყურადღების მიქცევა დაიწყეს არა პროგრამების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება-განვითარებაზე, არამედ დაფინანსების მოპოვებაზე; ■ არადაფინანსებად პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების კვალობაზე, რომლი ვითარება იქმნება მათ მომსახურე პერსონალთან დაკავშირებით, რაც დამატებითი სოციალური პრობლემების წარმომქმნელი შეიძლება გახდეს და ა.შ.

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ხელი-სუფლების მიერ ხორციელდება შრომის ბაზრის ხელახალი შესწავლა, რაც მოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პროცესიებზე რა მოცულობის მოთხოვნა არის. ვფიქრობთ, მომავალში სახელმწიფო პრიორიტეტული (დაფინანსებადი) პროგრამების ჩამონათვალის ორიენტირება მოხდება სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებზე.

ნებით, ამ ეტაპზე, თითქმის შეუძლებელია. ხოლო რაც შეეხება პირველს, აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე მრავლად დაგროვდა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, რომელთა გაანალიზებაც ვეცადეთ წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში.

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, არ ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტების დაფინანსების არსებული მოდელი სრულიად მიუღებელია. მის ფუნქციონირებას თან სდევს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები. კერძოდ:

დაფინანსების არსებული მოდელის გაუმჯობებისათვის ასევე სასურველია, რომ დაფინანსება მიებას აბიტურიენტის მიღწევებს ეროვნულ გამოცდებზე. ვგულისხმობთ, რომ უნდა არსებობდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ქვემოთ ქულების დაგროვება გამოიწვევს დაფინანსების ვერმილებას. მართალია რთულია, მაგრამ მიზანშენონილად მიგვაჩნია, რომ დაფინანსების განსაზღვრის დროს,

ყოველწლიურად ხდებოდეს სტუდენტთა მიმდინარე მოსწრების გათვალისწინებაც, რაც აამაღლებს მათ შორის კონკურენციას და დადებითად აისახება აკადემიურ მოსწრებაზე.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტებს განესაზღვროთ დაფინანსებადი ადგილების საერთო მოცულობა (როგორც ხდება კიდეც), რომლის ფარგლებში სახელმწიფო მისცემს მათ დაკვეთას გარკვეულ პროფესიებზე, ხოლო დარჩენილი ადგილების გადანაწილება მოხდება უნივერსიტეტების მიერ საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით. აქვე დავძინო, რომ უნივერსიტეტების ქვოტების გაანგარიშება უნდა დაეყრდნოს მაჩვენებელთა სისტემას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა მონაცემები, მაგალითად: გრანტოსანი სტუდენტების ხვედრითი წილი სტუდენტთა მთლიან მოცულობაში, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული გრანტები, საერთაშორისო პროექტებში მონაწილება, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით და სხვა. ცხადია, ეს არის მხოლოდ მოსაზრება დასათანადო ანალიზის განხორციელების შედეგად მაჩვენებლები შეიძლება დაზუსტდეს, შეიცვალოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო დაფინანსების განაწილება უნივერსიტეტებსა და პროგრამებზე მოხდეს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, თავისუფალი და სამართლიანი კონკურანციის პირობებში. აღნიშნული აამაღლებს უნივერსიტეტებისა თუ პროგრამის განმახორციელებელი გუნდის დაინტერესებას პროგრა-

მის განვითარებით, სწავლების ხარისხის ამაღლებით, კურსდამთავებულთა დასაქმების ხელშეწყობით და ა.შ., ხოლო სახელმწიფო, უმაღლეს განათლებაზე განვითარების სახელმწიფო ხარჯების ეფექტური ამაღლების კვალობაზე, გაცილებით უკეთეს შედეგს მიიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ლავთაძე გ.,** განათლების სისტემა: თანამედროვე ფუნქციები და გამოწვევები, ჟ. ანსუ მოამბე, 1, ანსუ, 2013, გვ. 112-122;
2. **ლავთაძე გ., იფშირაძე ა.,** თანამედროვე უნივერსიტეტის მართვის პრინციპები: გამოწვევები და ნოვაციები, ანსუ, პედაგოგიური ფაკულტეტი, VI საერთაშ. კონფერენცია: სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 6-7.06.2015, გვ. 525-531;
3. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბ., 2014, ხელმისაწვდომია:
<http://www.mes.gov.ge/uploads/strategia.pdf>
4. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (), თბ., 2013, ხელმისაწვდომია:
<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf>
5. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი (2010-2014 წ.წ.)

საქართველოს მინერალური რესურსები ეროვნულ სიმღიდოვაში და მათი ეფექტური ათვისების მიმართულებები

გელა ლობჯა(უ)ანიძე — ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

მინერალური რესურსების და მინერალური ნედლეულის მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება ისეთი პროცესების არსებობით, როგორიცაა მინერალურ-სანედლეულო ბაზის ახალი ბაზრების წარმოშობა, განვითარება და ამ თვალსაზრისით გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაცია. მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომიკის ძირეული სტრუქტურული გარდაქმნა წარმატებულად განხორციელდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც მოახერხეს ყველაზე მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკურობი მიღწევების გამოყენება და შეძლეს აქტიური მიზანდასახული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება ამ მიღწევების წარმოებაში რეალიზაციის გზით. საერთოდ, სამეცნიერო-ტექნიკურ-ტექნიკური პროგრესი მინერალური რესურსების წარმოების პროცესში ჩართვის, ნედლეულისა და მასალების კომპლექსურად გადამუშავების, ნარჩენების გამოყენების დიდ შესაძლებლობებს განაპირობებს, რაც თავის მხრივ, გაზრდის მინერალურ-სანედლეულო პროდუქციის წარმოების მოგებას და რენტაბელობას, შესაბამისი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის შექმნისა და სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: მინერალური რესურსები, გლობალიზაცია, მდგრადი განვითარება, ეროვნული სიმდიდრე, სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკა და სტრატეგია.

Georgian Mineral Resources in the national wealth and their effective utilization directions

Gela Lobjanidze
Associate Professor of GTU,
Academic Doctor of Science Economics

Summary

The article discusses the development of mineral resources in a rational and effective topical issues of the modern world market situation and development strategies. In addition, the analysis of mineral resources reasonable use of the country's economic development and social transformation of the role of different factors, which is quite remarkable and determines both within individual countries and the region's sustainable development, economic, social, security, competitiveness and other development strategies.

Key words: Mineral resources, globalization, sustainable development, national wealth, industrial-economic policy and strategy.

ბოლო ათწლეულების კვალობაზე აშკარად წარმოჩნდა პლანეტის ბუნებრივ-სანედლეულო რესურსების ზრდის დეფიციტის დინამიკა და, შესაბამისად, მათი წყაროების მსოფლიო ბაზარზე კონტროლის პრძოლის გამკაცრება. მსოფლიო სამეურნეო კავშირების ტრანსფორმაცია, რომელიც გლობალიზაციით არის განპირობებული, ცვლიან მსოფლიო სისტემების სტრუქტურას და მმართველობით პარამეტრებს.

მსოფლიო მეურნეობა ფლობს მრავალფეროვან ბუნებრივ რესურსებს მინერალური რესურსების სახით, რომლითაც შესაძლებელია მსოფლიო მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რითაც გარკვეულ ანტროპოგენურ გავლენას ახდენს გარემოზე.

სამრეწველო-ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც წარმოების მოცულობაზე მიმართული, ძლიერ გავლენას ახდენს ბუნებაზე და არახელსაყრელ ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს, რაც – ერთის მხრივ, რესურსების ამონტურვაში და, მეორეს მხრივ, გარემოს გაუარესებაში ვლინდება.

მდგრადი განვითარების კონცეფციის პირობებში ეკონომიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობასთან ერთად საზოგადოება და ბიზნესი ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას იღებს